

შპს გრინ-ვეი
2024 წლის ფინანსური ანგარიშგება

შპს "გრინვეი"				
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება				
ერთეული: 1 GEL				
	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28707	2606	34582	3.1
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	357224	400064	502148	
ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1053716	1358365	976495	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები	310397	513628	470095	3.1
მარაგები	237128	811986	43594	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	237128	811986	43594	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	550813	96907	91934	3.3
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	1794	1794	1794	
ძირითადი საშუალებები	337445	413555	485296	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	2566827	3085277	2135843	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
სავაჭრო ვალდებულებები	519272	352576	898269	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4517	16887	3446	3.5
საგადასახადო ვალდებულებები	606007	352156	152734	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	74135	129274	143201	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	988440	947090	1215242	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	45000	45000	45000	
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	2237371	1842983	2457892	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	329456	1242294	-322049	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	329456	1242294	-322049	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2566827	3085277	2135843	
სულ მოკლევადიანი აქტივები	1917191	2156300	1178658	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2192371	1797983	2412892	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.				
დირექტორი: _____	ლაშა შარაშიძე			
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.				2

შპს "გრინვეი"			
საქმიანობის შედეგების ანგარიშგება			
		ერთეული: 1 GEL	
	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა	
	2024	2023	
ნეტო ამონაგები	1771121	3736373	
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან			
- მომსახურების გაწევიდან	1771121	3736373	3.6
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			
- სხვა ამონაგები			
გაყიდვების თვითღირებულება	-1765110	-1229015	
საერთო მოგება	6011	2507358	
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
დასაქმებულთა ანაზღაურება	-628254	-500376	
ცვთა/ამორტიზაციის ხარჯი	-76111	-76043	
საპროცენტო შემოსავალი		18801	
საპროცენტო ხარჯი	-110852	-182032	
იჯარის ხარჯი	-4603	-11600	
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-56125	-71331	3.7
სულ საოპერაციო ხარჯები	-875945	-822581	
საოპერაციო მოგება	-869934	1684777	
გაუფასურების ხარჯი/ადდგენა			
მ.შ. - ფინანსური აქტივების			
- მარაგების			
- სხვა არაფინანსური აქტივების			
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. ს	-32863	-29988	
მიღებული დივიდენდები			
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	29270	-6236	3.8
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრ	-873527	1648553	
მოგების გადასახადის ხარჯი	-20935	-12631	
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-894462	1635922	
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი			
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადას.			
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადას.			
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:			
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-894462	1635922	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის და	1270971	-322049	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შ			
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-47053	-71579	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში			
კაპიტალის სხვა ცვლილებები			
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	329456	1242294	
ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 30.09.2025 წ.			
დირექტორი: _____	ლაშა შარაშიძე		
თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.			

2024 წლის ფინანსური ანგარიშგების

განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „შპს გრინ-ვეი“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული

პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია 2014 წლის 12 დეკემბერს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 406135016, იურიდიული მისამართი - საქართველო, ჩოხატაური სოფელი დაბლაჯიხე მე-4 ქუჩა 19 ფაქტობრივი მისამართი ემთხვევა იურიდიულ მისამართს. კომპანია დარეგისტრირებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია ლაშა შარაშიძე (პ/ნ 60002001603).

1.3. კომპანიის დირექტორია ლაშა შარაშიძე (პ/ნ 46001001500).

1.4. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა წყლის ნაგებობების მშენებლობა, ხიდების და გვირაბების მშენებლობა, გზების და ავტობანების მშენებლობა, საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, აირისებრი სათბობის განაწილება მილსადენებით

1.5. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.6. კომპანიის დაქირავებულ თანამშრომელთა რიცხვი 2024 წელს შეადგენდა საშუალოდ 20 კაცს.

1.7. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2018 წლიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) თანახმად, რადგან კომპანია თავისი

მაჩვენებლებით გახდა მესამე კატეგორიის საწარმო „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი – დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია **მსს ფასს**-ის ძირითადი დაშვება – ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე ჩათვლით). 2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი **მსს ფასს**-ის დებულებები.

2.5. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი **სააღრიცხვო პოლიტიკა**:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

2.6 საექვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საექვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 1 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საექვო მოთხოვნად.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში ამ თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი მუხლები, რომლებიც დაიანგარიშდება რეალური ღირებულებით, კონვერტირდება სამუშაო ვალუტაში რეალური ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლის კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დასაქმებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის მარაგების ჩამოწერა ხდება საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე და სადეპოზიტო საბანკო ანგარიშებზე.

2,7 გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების ცვეთისათვის/ამორტიზაციისათვის გამოიყენება ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ამორტიზებადი აქტივის გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ამორტიზებადი აქტივის გასვლა, ცვეთის/ამორტიზაციის დარიცხვა არ ხდება.

ბ) ძირითადი საშუალებებისა ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, საბალანსო და ნარჩენ (სალიკვიდაციო) ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა ნაგებობები	- 4%;
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	- 12,5%;
მანქანა-დანადგარები	- 8-10%;
ავეჯი და სხვა ინვენტარი	- 20-50%;
კომპიუტერები და აღჭურვილობა	- 25-50%.
სამშენებლო მოწყობილობები და კონტეინერები	- 20%;
ხელსაწყოები	- 20%;
ელექტრო ძრავები და დიზელ გენერატორები	- 20%;

არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით – 10%.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.8. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, რომელთათვისაც ეს დებულება ძალაშია 2024 წლის 1 იანვრიდან, და ზოგიერთი სხვა გამონაკლისისა (ფინანსური დაწესებულებები: ბანკები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები; აგრეთვე, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით აზარტული თამაშოების ორგანიზატორი პირებისა).

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2024 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის სამუშაო ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2,8068 ლარი; 1 EUR=2,9306 ლარი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6894 ლარი; 1 EUR=2.9753 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2024 წელს: 1 USD=2.8123 ლარი; 1 EUR= 2.9101ლარი.

2023 წელს: 1 USD=2.9137 ლარი; 1 EUR=3.0812 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობი	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეო	ნაშთი 31.12.2022 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	0	305	706
ლარი საბანკო ანგარიშებზე	28707	2300	51460
ლარი სხვა საბანკო ანგარიშებზე	0	0	0
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	0	0	53012
სულ:	28707	2605	105178

3.2. მარაგები:

ეს მუხლი, რომელიც 2024 წლის ბოლოს შეადგენს 2371286 ლარს, მთლიანად გამოიყენება სამუშაოების შესასრულებლად. 2024 წლის განმავლობაში მარაგების გაუფასურებას ადგილი არ ჰქონია.

	ნაშთი 31.12.2024მდგომარ ეობით	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
გასაყიდი და სარემონტო საქონელი	123958	589875
დაუმთავრებელი წარმოება	113170	197255
საწვავ-საცხები მასალები	0	23300
სხვა სასაქონლო მატერიალი	0	1556
სულ:	237128	811986

3.3. სხვა მოკლევადიანი აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინსწრებით გადახდილ გადასახადებს, მათ შორის, მიღებული ავანსების გამო დარიცხული, შემდგომში აღსადგენი დამატებული ღირებულების გადასახადის თანხებისაგან.

3.4. ძირითადი საშუალებები:

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

	ნაშთი 31.12.2024 მდგომარეობით	2024 წელი ზრდა ან შემცირება	2024 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2023 მდგომარეობით
შენობები	231984	0	10812	242796
მანქანა-დანადგარები	166	0	99	265
ელექტრომრავლები და დიზელ- გენერატორები	4074	0	610	4684
კავშირგაბმულობის საშუალებები	615	0	168	783
ოფისის აღჭურვილობა	607	0	303	910
კომპიუტერული ტექნიკა	593	0	574	1167
ავეჯი	127	0	40	167
სპეციალური ინსტრუმენტები	734		410	1144
მსუბუქი ავტომობილები	24486	0	11278	35764
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენლად	4096	0	6779.66	10876
სხვა ავტოსატრანსპორტი	69606	0	44855.1	114461
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	147		110.17	257
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	211		70.68	282
	337445	0	76111	413556

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენს:

2024 წლის ბოლოს – 337445 ლარი;

2023 წლის ბოლოს – 215875 ლარი.

3.5. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2024 წელს კომპანიის ნეტო-ამონაგები ძირითადად შედგება სარემონტო-სამშენებლო სამუშაოების საავტომობილო გზების მშენებლობა რეაბილიტაცია შენობის რეაბილიტაცია, დასვენების პარკებისა და საბავშვო მოედნების მოწყობა, გაზიფიცირების სამუშაოები სატენდრო ხელშეკრულებით. მიმიღებული შემოსავლებიდან 1772121 - ლარი.

3.6. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2024 წელი	2023 წელი
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები ხარჯები	-6500.00	-18000.00
ა.მ. საექსპლუატაციო ხარჯები და რემონტი	-17924.00	-28736.00
ქონების და სხვა საგადასახადო ხარჯები	-1447.00	-1447.00
დაზღვევის ხარჯი	-10986.00	
საკომუნიკაციო ხარჯები	-424.00	-469.00
საბანკო ხარჯები	-2302.00	-10973.00
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-16542.00	-11708.00
სულ:	-56125	-71333

3.7. სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ ხარჯი:

	2024 წელი	2023 წელი
არასაოპერაციო შემოსავლები	12632	1
სხვა ფინანსური ხარჯი	-10611	-4714
საგადასახადო ჯარიმა საურავი	27499	-312
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	0	-941
საპატრულო და სხვა ჯარიმები	-250	-270
სულ:	29270	-6236

3.8. საკუთარი კაპიტალი:

კომპანიის წესდებით განსაზღვრული კაპიტალი 0 ლარია, რაც დასაშვებია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით. შესაბამისად, კომპანიის საკუთარი კაპიტალი მთლიანად შედგება დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებისაგან.

2023 წლის კომპანიის ფინანსური შედეგი იყო 1242294 ლარი . შესაბამისად, კომპანიის გაუნაწილებელი მოგების ნაშთი 2024 წლის ბოლოს 337759.76 ლარი ბოლოს შედგება 2020-2023 წელს მიღებული მოგების თანხებისაგან, შემცირებული 2022 წლის ზარალით, რომელთა განაწილების შესახებ გადაწყვეტილება ჯერ არ არის მიღებული.

3.9. სასამართლო დავები

2024 წელს, კომპანიას მიმდინარე სასამართლო დავები არ ჰქონია.

3.10. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2024 წელს, კომპანიას არ ჰქონია დაკავშირებულ მხარეებთან (დამფუძნებლები, დირექტორი) ისეთი ოპერაციები, რომლებზეც გავლენას იქონიებდა მხარეთა შორის არსებული ურთიერთობები.

3.11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 24 სექტემბრამდე პერიოდში, კომპანიის ეკონომიკურ საქმიანობაში საყურადღებო მოვლენები არ მომხდარა.

3.12. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 24 სექტემბერს კომპანიის მენეჯმენტის მიერ. კომპანიის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეცვალოს ფინანსური ანგარიშგება გამოშვების შემდეგ.

	საანგარიშგებო თარიღი			შენიშვნა
	31.12.2024	31.12.2023	31.12.2022	
აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28707	2606	34582	3.1
საგაჭრო და სხვა მოთხოვნები	357224	400064	502148	
აქვანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	1053716	1358365	976495	
მ.შ. - გრძელვადიანი სესხები	310397	513628	470095	3.1
მარაგები	237128	811986	43594	
მ.შ. - მზა პროდუქცია				
- სხვა	237128	811986	43594	
საინვესტიციო ქონება				
სხვა მოკლევადიანი აქტივები	550813	96907	91934	3.3
ბიოლოგიური აქტივები				
მ.შ. - თვითღირებულების მოდელით				
- გადაფასების მოდელით				
გუდვილი				
სხვა არამატერიალური აქტივები	1794	1794	1794	
ძირითადი საშუალებები	337445	413555	485296	3.4
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში				
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში				
სხვა გრძელვადიანი აქტივები				
სულ აქტივები	2566827	3085277	2135843	
ვალდებულებები				
საიჯარო ვალდებულება				
მ.შ. - ფინანსური იჯარის (ლიზინგის) გრძელვადიანი ნაწილი				
საგაჭრო ვალდებულებები	519272	352576	898269	
ანარიცხები				
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	4517	16887	3446	3.5
საგადასახადო ვალდებულებები	606007	352156	152734	
გამოუმუშავებელი შემოსავალი	74135	129274	143201	
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	988440	947090	1215242	
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	45000	45000	45000	
მიღებული გრანტები				
მ.შ. - გრანტებიდან წარმოქმნ. გრძელვადიანი ვალდებულებები				
სხვა ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები	2237371	1842983	2457892	
საკუთარი კაპიტალი				
კაპიტალი (სააქციო კაპიტალი, საპაიო კაპიტალი)				
საემისიო შემოსავალი				
გამოსყიდული საკუთარი აქციები				
გაუნაწილებელი მოგება/ დაგროვილი ზარალი	329456	1242294	-322049	
გადაფასების რეზერვი				
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები				
სულ საკუთარი კაპიტალი	329456	1242294	-322049	
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2566827	3085277	2135843	
სულ მოკლევადიანი აქტივები	1917191	2156300	1178658	
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	2192371	1797983	2412892	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოხატვის ნაწილად 30.09.2025 წ.

დირექტორი: _____ ლაშა შარაშიძე

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "გრინვეი"

საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

შენიშვნა

	საანგარიშგებო პერიოდი	
	2024	2023
ნეტო ამონაგები	1771121	3736373
მ.შ. - საქონლის გაყიდვიდან		
- მომსახურების გაწევიდან	1771121	3736373
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		
- სხვა ამონაგები		
გაყიდვების თვითღირებულება	-1765110	-1229015
საერთო მოგება	6011	2507358
სხვა საოპერაციო შემოსავალი		
დასაქმებულთა ანაზღაურება	-628254	-500376
ცვეთა/ამორტიზაციის ხარჯი	-76111	-76043
საპროცენტო შემოსავალი		18801
საპროცენტო ხარჯი	-110852	-182032
იჯარის ხარჯი	-4603	-11600
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-56125	-71331
სულ საოპერაციო ხარჯები	-875945	-822581
საოპერაციო მოგება	-869934	1684777
გაუფასურების ხარჯი/აღდგენა		
მ.შ. - ფინანსური აქტივების		
- მარაგების		
- სხვა არაფინანსური აქტივების		
წმინდა შემოს./დანაკ. უცხ. ვალუტით ვაჭრ. და სავალ. სახ. გადაფ.	-32863	-29988
მიღებული დივიდენდები		
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	29270	-6236
მოგება/ზარალი მოგების გადას. ხარჯამდე განგრძ. ოპერაციებიდან	-873527	1648553
მოგების გადასახადის ხარჯი	-20935	-12631
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი	-894462	1635922
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი		
ძირითადი საშუალებების (მ.შ. ბიოლ. აქტივების) გადაფასების რეზ.		
სხვა (მ.შ. წილი ერთ. და მეკავ. საწ. უძრ. ქონების გადაფ. რეზ.)		
სხვა სრული შემოსავალი/ზარალი, სულ:		
მთლიანი სრული შემოსავალი/ზარალი	-894462	1635922
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	1270971	-322049
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ში კაპიტალის გაზრდა/შემცირება)		
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	-47053	-71579
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		
კაპიტალის სხვა ცვლილებები		
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	329456	1242294

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამგეობის გადაწყვეტილებით 30.09.2025 წ.

დირექტორი: _____

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.